განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მომართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რაც ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ახალი - 77[1] მუხლის დამატებას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ/საჯარო შენობებში ხმაურის ნორმების გადაჭარბებისათვის. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გაიზიარა საკანონმდებლო წინადადება და შექმნა სამუშაო ჯგუფი კანონპროექტის ინიცირებისათვის. ზემოაღნიშნულ პრობლემაზე ნათლად მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა, მომეტებული ხმაურის საფუძვლით, მოქალაქეთა მიერ საპატრულო პოლიციის გამოძახების შესახებ. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს დაფიქსირდა ხმაურით შეწუხებული მოსახლეობის მიერ საპატრულო პოლიციის 6539 (ექვსიათას ხუთას ოცდაცხრამეტი) გამოძახება. აქედან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ივლისი-აგვისტოს თვეებში: 2 155 (ორიათას ას ორმოცდათხუთმეტი) გამოძახება.

დღეის მდგომარეობით, ატმოსფეროში ხმაურის დასაშვები ნორმები რეგულირდება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წ. 16 აგვისტოს N297/6 ბრძანებით გათვალისწინებული წესებით, რომლებიც შეიცავენ ტექნიკური ხასიათის ნორმებს. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის„ 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული წესები უნდა გამოიცეს ტექნიკური რეგლამენტის ფორმით და დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ვინაიდან დღემდე არ არსებობდა რაიმე სახის პასუხისმგებლობა დღის და ღამის საათებში საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ შენობებში ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის, წარმოდგენილი კანონპროექტით დაწესდება ფულადი ჯარიმები ზემოაღნიშნული დარღვევისათვის.

2002 წლის 25 ივნისს ევროკავშირის მიერ შემუშავებული 2002/49/ EC დირექტივა- „გარემოში ხმაურის შეფასებისა და შესაბამისი მენეჯმენტის შესახებ“ მიუთითებს, სახელმწიფოთა ვალდებულებას, ადამიანის ჯანმრთელობის უფლების რეალიზებისა და ამ უფლების იმპლემენტაციისთვის შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შესახებ. ამას გარდა, ადგილობრივი/საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა განაპირობა ხმაურის, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი ფიზიკური ფაქტორის

სამართლებრივი რეგულირებისა და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საჭიროება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ საყვარელიძის სახელობის „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1999 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „საზოგადოებრივი ხმაურის შესახებ“ და 2009 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო „ღამის ხმაურის ზემოქმედების შესახებ“ მიუთითებს იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მომტანს წარმოადგენენ. კერძოდ, ხმაურს მოაქვს უსიამოვნება, აქვეითებს ცხოვრების ხარისხს, ხელს უშლის ხალხის ნორმალურ აქტიურობას, ზემოქმედებს ყურადღების კონცენტრაციაზე, კომუნიკაციაზე და ძილზე. გარდა ნეგატიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური შედეგისა, ის ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1999 წელს გამოცემული საზოგადოებრივი ხმაურის სახელმძღვანელო, მიუთითებს სახელმწიფოებს დაიცვან მოსახლეობა ხმაურისაგან, გაითვალისწინონ ხმაურის ნეგატიური შედეგები და შესაბამისი შეზღუდვები დააწესონ არსებულ კანონმდებლობაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიზანია, უზრუნველყოს ქვეყანაში „საქართველოს კონსტიტუციით“, „ეკონომიკური და სოციალური უფლებების საერთაშორისო პაქტით“ აღიარებული ადამიანის უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში („საქართველოს კონსტიტუცია“ 37-ე მუხლი) და გააჩნდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტი („ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი“ მე-12 მუხლი).

ამას გარდა, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ევროკავშირის 2002/49/ EC დირექტივა.

მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურმა ბიურომ, 2009 წელს მიიღო „ღამის ხმაურის პრობლემებთან დაკავშირებული წესები“. დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ღამის საათებში ხმაურის დონედ განსაზღვრულია 40 დეციბელი. ქალაქის აქტიურ ადგილებსა და ქუჩებში, ხმაურის დონედ, განსაზღვრულია 55 დეციბელი. სამწუხაროდ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღიარებს, რომ ევროპის მოსახლეობის ყოველი მეხუთე მოსახლე 55 დეციბელზე მეტი ხმაურის ზონაში იმყოფება.

ევროკავშირის ქვეყნებში ღამის ხმაურის ზღვრული დონე სხვადასხვაა. ცხრილში ნაჩვენებია ღამით სატრანსპორტო ხმაურის (L night, outside) დონეები ქვეყნების მიხედვით.

საფრანგეთი	62 დეციბელი
გერმანია	49 დეციბელი

ნიდერლანდები	40 დეციბელი
ავსტრია	50 დეციბელი
შვედეთი	51 დეციბელი
ფინეთი	46 დეციბელი
უნგრეთი	55 დეციბელი
ლატვია	40 დეციბელი

ხმაურის დონის შეზღუდვის მიზნით განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს შესაბამისი კანონები და ჯარიმები ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბებისთვის.

მონტენეგროში, კოსოვოში, ხორვატიაში, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს კანონი „ხმაურისგან დაცვის შესახებ“ და კანონშივეა გაწერილი ჯარიმები წესების დარღვევისათვის.

- **მონტენეგროში** ჯარიმა შეადგენს 3400 - 4000 ევროს;
- **კოსოვოში** ჯარიმა შეადგენს 500 - 1000 ევროს;
- **ხორვატიაში** ჯარიმა შეადგენს 1300- 2000 ევროს;
- **დიდ ბრიტანეთში** ჯარიმა შეადგენს 5 000 – 20 000 გირვანქა სტერლინგი.

- **ლატვიაში** მოქმედებს კანონი „გარემოს დაბინძურების შესახებ“. წესების დარღვევის გამო ჯარიმები მოცემულია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლის თანახმად, ფიზიკური პირებისთვის ხმაურის წესების დარღვევისათვის ჯარიმაა 30-355 ევრო, ხოლო იურიდიული პირებისთვის 70-700 ევრო.
- **ამერიკის შეერთებულ შტატებში** ფედერალურ დონეზე მოქმედებს კანონი ხმაურის კონტროლის შესახებ. გარდა ფედერალური კანონისა, შტატების და ქალაქების დონეზეც არსებობს ხმაურის რეგულაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა. ნიუ-იორკში მოქმედებს ხმაურის შესახებ კანონი (Noise Code), რომლის თანახმადაც გადაჭარბებული ხმაურისთვის პირი ჯარიმდება 250 დოლარით პირველ ჯერზე, განმეორებით შემთხვევაში - 500 დოლარით, მესამე ჯერზე - 750, ხოლო მეოთხე ჯერზე - 1000 დოლარით.

განსხვავებულად რეგულირდება ევროპის ქვეყნებში ხმაურის ნორმების გადაჭარბებისათვის პასუხისმგებლობის ადმინისტრირების წესი.

- **ავსტრიაში** ხმაურის შესახებ საკითხები რეგულირდება ხმაურით დაბინძურების შესახებ კანონით და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ კანონით. კანონების თანახმად, <u>ავსტრიის პოლიცია</u> სპეციალური დოზიმეტრების საშუალებით ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოწვეული ხმაურის დონის მონიტორინგს ქალაქებში. სოფლად ხმაურის დონის მონიტორინგის უფლებამოსილება <u>ადგილობრივ თვითმმართველობას</u> აქვს.

- **ბელგიაში** ხმაურის დარღვევებზე მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალური პოლიცია, ხმაურის გამზომი შესაბამისი ხელსაწყოს-დოზიმეტრის გამოყენებით, ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის თანახმად (Loi relative à la lutte contre le bruit).
- **ესტონეთში** ხმაურის პრობლემები რეგულირდება იძულებითი აღსრულების შესახებ კანონით. მონიტორინგს ხმაურის ნორმების დარღვევაზე ახორციელებს პოლიცია და ადგილობრივი თვითმმართველობა.
- **ლატვიაში** ხმაურთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კანონით „გარემოს დაბინძურების შესახებ" და მთავრობის N16 დადგენილებით. მონიტორინგს ახორციელებს ჯანდაცვის ინსპექცია, რომელიც ექვემდებარება ლატვიის ჯანდაცვის სამინისტროს. შინაგან საქმეთა სამინისტრო 24 საათიან მონიტორინგს ახორციელებს დასახლებულ ადგილებში. კერძოდ, პარკებში, სკვერებში, საცხოვრებელ სახლებში, კერძო და საზოგადოებრივ ადგილებში, ბარებში, დისკოტეკებზე და ა.შ.
- **პორტუგალიაში** ხმაურთან დაკავშირებული რეგულაციები გაწერილია ხმაურის შესახებ კანონში, რომლის თანახმად, მონიტორინგს ახორციელებს პოლიცია.
- **საბერძნეთში** ხმაურთან დაკავშირებულ საკითხები რეგულირდება მთავრობის დადგენილებით A5/3010. მონიტორინგს ახორცილებეს პოლიცია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოები.
- **სლოვაკეთში** ხმაურთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, მხარდაჭერისა და განვითარების შესახებ კანონით. მონიტორინგს ახორციელებს პოლიცია.
- **ფინეთში** ხმაურთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება გარემოს დაცვის შესახებ კანონით და მთავრობის დადგენილებით N993/1992. ხმაურის ნორმების დარღვევაზე მონიტორინგს ახორციელებს გარემოსდაცვითი სახელმწიფო ორგანო როგორც რეგიონულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. როცა საჭიროება მოითხოვს, პოლიციის შესახებ კანონის საფუძველზე, პოლიცია ეხმარება ხმაურის აღკვეთაში.
- **ჩეხეთში** ხმაურის პრობლემები რეგულირდება ხმაურის და ვიბრაციის ჯანმრთელობაზე მავნე გავლენის შესახებ მთავრობის დადგენილებით (Regulation on protection of health from the adverse effects of noise and vibration). კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს ჰიგიენის ინსპექცია.
- **ხორვატიაში** - მოქმედებს კანონი „ხმაურისგან დაცვის შესახებ". ხორვატიაში სანიტარული ინსპექცია ახორციელებს ზედამხედველობას ხმაურის დარღვევებზე. სანიტარული ინსპექცია ექვემდებარება ხორვატიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წინამდებარე კანონპროექტით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ახალი- 77[1]-ე მუხლი, რომლითაც დაწესდება:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დღის და ღამის საათებში საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ/საჯარო შენობებში ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის. ხმაურის დასაშვები ნორმები დადგენილია **„საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი (საჯარო) შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით.**

77^1 მუხლის 1-ლი პუნქტი პირველ ჯერზე ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ითვალისწინებს ფიზიკური/იურიდიული პირის გაფრთხილებას.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, იურიდიული პირის- 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მესამედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ქმედების ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირის- 300 (სამასი) ლარის ოდენობით, იურიდიული პირის - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

2. ხმაურის ცნების ერთგვაროვნად განმარტების მიზნით გამოყენებულია „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი (საჯარო) შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ცნება.

3. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას დღის (07.00-23.00 საათამდე) და ღამის საათებში (23.00-07.00 საათამდე) ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის.

4. ასევე, კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ 2018 წლის 1 აპრილამდე 77^1 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოები - საპატრულო პოლიცია, რომელიც განხორციელებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ხმაურმზომი ხელსაწყოებით უზრუნველყოფს პირის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, ხოლო 2018 წლის 1 აპრილიდან ეს ფუნქცია გადაეცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

5. ასევე შედის ტექნიკურად ცვლილება 239-ე მუხლის მე-4 ნაწილი ფორმულირებაში, ნაცვლად “72^1-78“ ჩაიწერება “72^1-77, 78“, რადგან კოდექსში შემოდის ახალი 77^1 მუხლი, რომელზედაც რეაგირების უფლებამოსილება ენიჭება თვითმმართველობის ორგანოებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევით გათვალისწინებული, ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ, შესაბამისი ფულადი ჯარიმის გადახდისას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საპატრულო პოლიციის შესაბამისი მოწყობილობით აღჭურვასა და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას შესაბამის სფეროში. ხმაურმზომი ხელსაწყოების შესაძენად საჭირო იქნება დაახლოებით 100 000 ლარი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება, რაც აისახება ფიზიკურ/იურიდიულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენისას გადახდილ ფულად ჯარიმებსა ან/და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებაში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი აწესებს ჯარიმის ოდენობას ფიზიკურ/იურიდიულ პირების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით და ერთი წლის განმავლობაში მესამედ და ყოველი შემდგომი ჩადენისას. კერძოდ:

- პირველ ჯერზე ზემოთაღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა ითვალისწინებს ფიზიკური/იურიდიულიი პირის გაფრთხილებას.
- ერთი წლის განმავლობაში, სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა კი იწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირის - 150 ლარის, ხოლო იურიდიული პირის 500 ლარის ოდენობით.
- ერთი წლის განმავლობაში ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ მესამე და ყოველი შემდგომი სამართალდარღვევის ჩადენა ითვალისწინებს ჯარიმას ფიზიკური პირისათვის- 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისათვის 1000 ლარის ოდენობით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირის 2002/49/ EC დირექტივის საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში იმპლემენტაციის პროცესს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტი შემუშავდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე და პირველი მოადგილე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის წევრები, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის,

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს ბიზნესომბუდსმენი, ასევე, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: პარლამენტის წევრები - ეკა ბესელია, ლევან გოგიჩაიშვილი, ბექა ოდიშარია, გედევან ფოფხაძე, აკაკი ზოიძე, ირაკლი ბერაია, სალომე ზურაბიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: იურიდიულ საკითხთა კომიტეტი